სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

81117306426925

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250035660

რეგისტრაციის თარიღი

15.01.2025 წ

ნოტარიუსი: ნანი სიდამონიძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27
ტელეფონი: 593-32-67-97

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდახუთი წლის თხუთმეტ იანვარს მე, ნოტარიუსს ნანი სიდამონიძეს, ჩემს სანოტ. ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. #27-ში, მომმართა რა. **ადეიშვილმა** შპს " ვიტა"ს (ს/კ 400009780 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო / არაკომერციულ. იურიდიული პირების რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 04/12/2024წ , იურიდიული მისამართი : თბილისი, ნაძალადევის რაიონში, სანერგის 1 შეს # 22) დირექტორმა , მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა საზოგადოების სახელით და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **რატი ადეიშვილმა (დაბ. 09/10/1994წ. პ # 01005029013, მისამართი : თბილისი გიორგი შატბერაშვილის I შეს. N 9 ბ. 9)** მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ:

1. მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა.

მან წაიკითხა სანოტარო აქტი, მოიწონა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ოცდახუთი წლის თხუთმეტ იანვარს მე, **რატი ადეიშვილი** შპს " ვიტა"ს (ს/კ 400009780) დირექტორი ამ მინდობილობით სრულ უფლებას ვაძლევ ზურაბ თედიაშვილს (პ # 01005023782) შპს " ვიტა"ს (ს/კ 400009780) კუთვნილ უძრავ ქონებასთან (ს/კ # 01.12.02.001.073) დაკავშირებით იყოს შპს " ვიტა"ს (ს/კ 400009780) წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და კერძო ორგანოებში, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის, ზედამხედველობის მუნიციპალურ სამსახურებში, ასევე ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, საკრებულოში, თვითმმართველობის ორგანოებში, ნებისმიერი რაიონის გამგეობაში და სხვა ქალაქების მერიაში. ასევე, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, არქივებში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში. უფლებამოსილია შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ცნობები/მოწმობები, ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს „მიმდობი პირის" ინტერესები აზომვითი ნახაზის მომზადების, ასევე პროექტის შედგენისას, მოახდინოს პროექტის კორექტირება, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მათ შორის მიიღოს მშენებლობის უფლება პირველ კლასის დაქვემდებარებული შენობა ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით, ისეთის როგორიცაა პირველი კლასის ღობე, შენობა ნაგებობა თუ სხვა ნებისმიერი ობიექტი. მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, ასევე მიიღოს მშენებლობის ნებართვა. მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი ცვლილება, „მიმნდობი პირის" კუთვნილ უძრავ ნივთზე, როგორიცაა უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის თუ სხვა ფართების დაზუსტება, კორექტირება, რეგისტრაცია, გამიჯვნა, გაერთიანება. ასევე შეათანხმოს ახალი ან სარეკონსტრუქციო არქიტექტურული პროექტი და მიიღოს მშენებლობის ნებართვა, ასევე მოახდინოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება. ამასთან, იყოს წარმომადგენელი სს „თელასი"-ში, „ენერგო პრო ჯორჯია"-ში, ახალ ქსელებში, სილქნეტში, წყალკანალში, გაზმომარაგების კომპანიებში, მათ შორის კომპანია „ყაზტრანს გაზ"-ში, გადაიხადოს „მიმნდობი პირის" სახელით მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, მოახდინოს ელექტრონული დოკუმენტების ატვირთვა, დადოს კანონით ნებადართული ნებისმიერი გარიგება, გამოითხოვოს „მიმნდობი პირის" კუთვნილი ნებისმიერი სახის დოკუმენტი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით და ძალაშია 2025 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

მინდობილობას ვადასტურებ მე, ნოტარიუსი ნანი სიდამონიძე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემა მინდობილობის გამცემს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური : 30 ლარი, აგრეთვე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე დღგ 5,40 ლარი, სულ 40,40 ლარი .

ნოტარიუსი